ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2020 წლის 07 მაისის

სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 11 მაისის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საბიუჯეტო ცვლილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2020 წლის 07 მაისის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 10

დ. ხარაგაული

07 მაისი 2020 წელი

9 აპრილის ქ. #15

სხდომას თავმჯდომარეობდა - მანანა ბარბაქაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

რუსუდან გიორგაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

დავით კიკნაძე -განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

ვარლამ ჭიპაშვილი - საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

გივი თხელიძე -ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

პაატა გოგოლაძე - ფრაქცია „ ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ -ს თავმჯდომარე,

იუზა კელენჯერიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“ -ს თავმჯდომარე,

ინგა მაღრაძე - ფრაქცია „ თვითმმართველობა ხალხისათვის““ თავმჯდომარე

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“-ს თავმჯდომარე

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები:

ნინო მაღლაკელიძე მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი (ერთვებოდა დისტანციურად),

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ :

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების შესახებ

დღის წესრიგი

1. **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 11 მაისის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საბიუჯეტო ცვლილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 07 მაისის ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსის ნინო მაღლაკელიძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა, რომელმაც დასვა წინადადება წარმოდგენილ საბიუჯეტო ცვლილებაში კორექტირების შეტანის თაობაზე, კერძოდ მან აღნიშნა, რომ შექმნილი მდგომარეობის გამო მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარების თანხა 20 000 ლარი გაზრდილიყო 10 000 ლარით და მოითხოვა მხარდაჭერა ბიუროს წევრებისაგან ,

დ. კიკნაძემ აღნიშნა, რომ ჩვენ ვართ ხალხის მიერ არჩეულები, პასუხებს ითხოვენ ჩვენგან, მიმაჩნია, რომ დარიგების ფორმა არის არასწორი და უნდა გასწორდეს, დახმარება უნდა მიიღოს პირველ რიგში მან ვისაც უჭირს.

ბიუროს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება და წერილობითი დოკუმენტი 10 000 ლარის დამატების თაობაზე გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერიას.

სხდომა განახლდა მას შემდეგ, რაც მერიიდან მოვიდა თანხმობა 10 000 ლარის დამატებით გამოყოფის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 11 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 11 მაისის სხდომის დღის წესრიგში.
2. დაევალოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიას საკითხის განხილვა კომისიის სხდომებზე .

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 11 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ, მანანა გარგაქაძემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია საფინანსო - საბიუჯეტო კომისიამ დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით ჩაატაროს მონიტორინგი კორონა ვიურუსის გავრცელების პერიოდისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვის კანონიერების შესახებ, თუ ვის გაეწია დახმარება და რა სახის და წარმოადგინოს დასკვნა

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა გარგაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 11 მაისის სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ

მომხს: ნინო მაღლაკელიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნინო მაღლაკელიძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2020 – 2021 წლების ეკონომიკური განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ საქასრიაში მდებარე 1908 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.03.34.117). პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, იჯარის ფორმით ერთი წლის ვადით კომპანია hinan bridge construqcion group co. ltd -სათვის გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

5. დაბა ხარაგაულში, 9 აპრილის ქუჩა N48-ში მდებარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 256 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და მასზედ მდგარი 150.50 კვ.მ შენობა-ნაგებობის (ს/კ 36.01.33.165) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2019 წლის 17 ოქტომბერს შექმნილი „დროებითი სამუშაო ჯგუფისათვის“ უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

მომხს: მალხაზ ფხალაძე

სხვადასხვა:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნის გაცნობა

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

2. ახალი კორონა ვირუსის covid- 19 -ის გავრცელების გამო, ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა საჭიროებები და ვერ ახერხებენ მათ მოგვარებას , აღნიშნულ პირთა საჭიროებების უზრუნველყოფის ორგანიზების მიზნით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მონიტორინგის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე